გამარჯვება სტუმრად

ლენინგრადი. ს. კიროვის სახელობის სტადიონი. 6 სექტემბერი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) - “დინამო” (თბილისი) - 1:2 (0:0).

“ზენიტი”: პრონინი, ბულავინი, ლოხოვი, გოლუბევი, ზაგუმენისი, სადირინი, ტრემბაჩი, ბურჩალკინი (ვიუნი), კოხი, გონჩაროვი, ივანოვი (პოლიაკოვი).

“დინამო”: სტეფანია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, მჭედლიშვილი, გავაშელი (კუტივაძე), მაჩაიძე, ყიფიანი, გ. ნოდია (გუცაევი), ფ. რეხვიაშვილი.

მსაჯი: ი. ბალიკინი (დნეპროპეტროვსკი).

დუბლიორები - 1:0 “ზენიტის” სასარგებლოდ.

წლევანდელ სეზონში ლენინგრადის “ზენიტმაც” და თბილისის “დინამომაც” თავიანთ ქომაგებს ბევრი უსიამოვნო წუთი განაცდევინეს. უხეირო თამაშმა “ზენიტი” გათამაშების ცხრილის სახიფათო ზონაში მოაქცია, ხოლო დინამოელები საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა მიღმა დააყენა.

საქმე მარტო სატურნირო მდგომარეობაში როდია. ახლა ჯერი უკვე საკუთარი პრესტიჟის აღდგენაზეც მიდგა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ორივე კოლექტივი თავგამოდებით იბრძოლებდა როგორც ქულების მოპოვებისთვის, ისე შელახული ავტორიტეტის აღდგენისთვის.

პირველ ტაიმში ამ მხრივ მაყურებელმა სასიკეთო ვერაფერი დაინახა ვერც ერთი და ვერც მეორე გუნდის თამაშში. სამაგიეროდ, შესვენების შემდეგ ფეხბურთელები უფრო საზრიანად და უფრო მიზანდასახულად მოქმედებდნენ. ამ მხრივ თბილისელები უფრო გამოირჩეოდნენ, ხშირად უტევდნენ სახიფათოდ მეტოქეთა კარს და რამდენჯერმე შექმნეს კიდეც აშკარა საგოლე მომენტი.

ყოველივე ეს მარგი მოქმედების კოეფიციენტებში უნდა გადაზრდილიყო და თუ ალბათობის თეორიით ვიმსჯელებთ, კარზე მრავალჯერ მოტანილი იერიშებიდან რამდენიმე გოლითაც უნდა დამთავრებულიყო. ასეც მოხდა. შესვენების შემდეგ სამიოდე წუთიც არ იყო გასული, რომ სტეფანიამ კარგად მოიგერია გონჩაროვის დარტყმა. ამის მერე სტუმრებს 3 წუთი დასჭირდათ იმისთვის, რომ წამოწყებული კონტრიერიში გოლით დაეგვირგვინებინათ. გოლის ავტორი გახლდათ მჭედლიშვილი, რომელმაც დაახლოებით 16-17 მეტრიდან მოხდენილი, ლამაზი და ძლიერი დარტყმით კარის ზედა კუთხეში გაგზავნა ბურთი.

გატანილმა გოლმა როდი დაამშვიდა სტუმრები. ისინი ერთთავად იმის ძიებაში იყვნენ, რომ კიდევ მოენახათ “ზენიტის” კარის გასაღები და წარმატება განემტკიცებინათ. იყო კოლექტიური შეტევაც და სოლური გასვლებიც, თამაშის მე-60 წუთზე ერთი ლამაზი სოლური რეიდი გააკეთა მაჩაიძემ. მხოლოდ ბოლო მომენტში იძალეს ლენინგრადელთა მცველებმა და საშიში მდგომარეობა უვნებელყვეს, რამდენჯერმე ზუსტად და აუღელვებლად ითამაშეს სტეფანიამ და თბილისელთა მცველებმა, რომელთა შორის გამოირჩეოდა ხურცილავა.

და მაინც, თბილისელთა კონტრშეტევები, უფრო სახიფათო და მიზანდასახული გახლდათ. დასამახსოვრებელი იყო 75-ე წუთი, როცა რეხვიაშვილმა ძელს მოახვედრა ბურთი. მას მოუსწრო დინამოელთა დებიუტანტმა გუცაევმა და თავური დარტყმით ბურთი “ზენიტის” კარში მოათავსა.

თამაშის მსვლელობას ვაკვირდებოდი რადიოგადაცემათა ჯიხურიდან, საიდანაც რეპორტაჟს გადასცემდა ცნობილი კომენტატორი ვ. ნაბუტოვი, წარსულში ასევე

ცნობილი ფეხბურთელი. გადაცემის დროს მან თქვა, ნეტავ ასე თამაშობდნენ თბილისელები სხვა სტადიონებზეცო. მართლაც, თბილისელები ამ დღეს, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, კარგად თამაშობდნენ.

მატჩის დამთავრებას 7 წუთი აკლდა, როცა ყიფიანმა კინაღამ სამამდე გაზარდა ანგარიში, მაგრამ მის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. თამაშის ბოლო წუთები აღინიშნა მასპინძელთა მძაფრი შეტევებით. მათ თითქმის ზედიზედ, ოთხჯერ მოაწოდეს კუთხური. და სწორედ ბოლო კუთხურის გათამაშების მერე, მატჩის მიწურულს თბილისელთა კარში აღმოჩნდა ბურთი. გოლის ავტორი გახლდათ ლენინგრადელთა მცველი გოლუბევი.

ბ. გალკინი, (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 8 სექტემბერი, 1971 წ.